



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N21

ქ. მარნეული

14.12.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, გიორგი შუკაკიძე, ზურაბ ჭონიაშვილი, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ჯომგუნ ზეინალოვი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რაფიკ ჯაფაროვი, მახირ იუსუბოვი, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი ლევონ აკოპიანი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, სულეიმან ხალილოვი.

არ ესწრებოდა: - ლერი მუმლაძე, გივი ქველაძე, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, ზურაბ სხირტლაძე, ნიზამი ვალიევი,

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნიზამი ვალიევისათვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მ/წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიჰამი ვალიევი, რის გამოც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება 2015 წლის 7 დეკემბრიდან, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N40. 14.12.2015 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ოცდამეერთე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი